ახალი განთიადი

„მეფნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„

29 იანვარი 2016 წელი №1 № 8107 ელფოსტა : AxaliGantiadi@gmail.com.



ნარჩინებულ მოსწავლეებს ოქროს და ვერცხლის მედლები გადაეცათ

გვ2.

ბუნებრივი აირი ყველა სოფელში

გვ2.

დამსახურებული მწვრთნელი 70 წლისაა

გვ3.

„რაცა ოქმ ვჭვ ცალკეკვ ვცეთი ლაკეკრეთვ?„

გვ5.

დოესში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა

გვ2.

ჯილდო – „ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარი„

გვ4.

ცრ ე ნ ი ნ გ ი თემაზე: დაიცავი შენი შრომითი და სოციალური უფლებები

გვ3.

ბავშვებმ ლამაზი ლოგოები ამოიჭრეს

გვ4.

“მე ასტრონომისა არა მცხია რა, მაგრამ ვუბედავ ჯორდანო ბრუნოს, რომ დედამიწა ღერძზე კი არა ადამიანის გულ-მკერდზე ბრუნავს!”

გიორგი ხორგუაშვილი.

ქვემო ჭალის ყულფურის სახლში

გვ4.

“სანუთრივ, ჩემთან მუიფელი...”

გვ8.



გვ2.

საღამესასწაულო დაიჯესტი

85-ე წელი თქვენთან ერთად!

ოთხმოცდამეხუთე წელია ჩვენი გაზეთი იწერს, აგროვებს, ინახავს რაიონის ისტორიას, ხარჯს არ უხდის ყვითელ პრესას, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეუღალავ მატიანეს...

2016 წელს ჩვენი გაზეთიც ცხოვრობს 85-ე წელია. თუ თქვენთან ერთად ამ მნიშვნელოვან მოვლენას გაზეთის ისტორიაში გამოვიყენებთ.

გამოიწერეთ „ახალი განთიადი„!

ბუნებრივი აირი ყველა სოფელში

სახელმწიფო პროგრამა - "გაზი ყველა სოფელს," კასპის მუნიციპალიტეტში წარმატებით მიმდინარეობს.

გაზიფიცირების სამუშაოები სოფელ სამთავისში, რომელსაც შპს "სოკარჯორჯია გაზის" კასპის სერვის ცენტრი ასრულებს აქტიურ ფაზაშია. ცენტრალური მაგისტრალის მშენებლობა ნაწილობრივ დასრულებულია და სამუშაოები გრძელდება. კომპანია პარალელურად მოსახლეობის ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას აწარმოებს. მაგისტრალის მოწყობა და ინდივიდუალური გამრიცხველიანება, სოფლის



290 ოჯახს ბუნებრივი აირით უზრუნველყოფს.

სოფლების გაზიფიცირება სახელმწიფო პროგრამებიდან, ერთ-ერთი პრიორიტეტულია. გაზიფიცირების მაგისტრალები აშენდა გამყოფი ხაზისპირა სოფლებში, ასევე აღაიანის, კავთისხევის, წინარეხის ადმინისტრაციულ ორგანოში შემავალ სოფლებში. დაგეგმილია მეტეხის, ქვემო გომის და ახალქალაქის ადმინისტრაციულ ორგანოებში შემავალი სოფლების გაზიფიცირებაც, რომლის საპროექტო სამუშაოები დასრულებულია. სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოები კი წელსვე დაიწყება და ოქტომბერში დასრულდება. გაზიფიცირება არა მარტო მოსახლეობის სოციალურ პირობებს გააუმჯობესებს, არამედ ტყის რესურსის გადარჩენასაც შეუწყობს ხელს - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

დოესში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა

სოფელ დოესში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "შენკომპლექსი" აწარმოებდა.

შენობაზე მოიხსნა ძველი სახურავი და გადაიხურა ახალი მოთუთიებული თუნუქის ფურცლით, მოეწყო წყალმიმღები და წყალამრიდი ღარები. არსებული ხის კარ-ფანჯარა შეიცვალა ახალი მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრით, შეკიდული ჭერი და კედლები მაღალხარისხოვანი წყალემულსიით შეიღება. განახლდა გასახდელი და საძინებელი ოთახები, სანიტარული კვანძი და სამზარეულო.

2014 წელს პირველ ეტაპზე, კასპის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 500 000 ლარამდე დაიხარჯა, 2015 წელს მეორე ეტაპზე კი 164 211 ლარი (86 161 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 78 049 ლარი ცენტრალური ბიუჯეტიდან), ნაწილობრივ შეკეთდა დოესის №1 და №2, თეზის, ლამისყანის, სამთავისის, ქვემო ჭალის და ოკმის საბავშვო ბაღები.

2016-2017 წლებში ვაპირებთ კასპის მუნიციპალიტეტში არსებული ყველა საბავშვო ბაღის სრულ რეაბილიტაციას. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების - საბავშვო ბაღებში ბავშვთა უფასო კვების შემოღების შემდეგ, ბავშვთა კონტინგენტი საკმაოდ გაიზარდა. ჩვენი მიზანია პატარა აღსაზრდელებს, მათ პედაგოგებსა და ტექნიკურ პერსონალს სათანადო პირობები შევუქმნათ - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

დალი კორკომაშვილი,
კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ნარჩინებულ მოსწავლეებს ოქროს და ვერცხლის მედლები გადაეცათ

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა და რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა რუსუდან მიგრიაულმა 2014-2015 სასწავლო წლის კურსდამთავრებულებს ოქროს და ვერცხლის მედლები გადასცეს.

ოქროს მედლები გადაეცათ დოესის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებს ნინო თაბუაშვილს, რუსუდან და ეთერ ბეგლარაშვილებს. ვერცხლის მედლები კი მარიამ გოჩიტაშვილს (კასპის გიმნაზია), სოფიო ჯავახიშვილს (ხოვლის საჯარო სკოლა), სოფიო მექანარიშვილს (კასპის №1 საჯარო სკოლა) და გიორგი ხეჩიკაშვილს (დოესის საჯარო სკოლა).

გოჩა გოჩიტაშვილმა და რუსუდან მიგრიაულმა წარმატებები უსურვეს მედალოსნებს და იმედი გამოთქვეს, რომ ისინი ასევე წარმატებული ადამიანები იქნებიან და ქვეყნის წინსვლაში აუცილებლად შეიტანენ საკუთარ წვლილს.

საღამოსასწაულო დაიჯესტი

2016 წლის მობრძანებას კასპის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა საახალწლო ნაძვისხესთან, კულტურის ცენტრის წინ შეხვდა. საახალწლო ზეიმში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები და დედაქალაქიდან მოწვეული ანსამბლი "სნო".

ღონისძიება გაახალისა ბავშვებისათვის მოწყობილმა ატრაქციონმა "მატარებელი" და თოვლის პაპამ, რომელიც მათ ხურჯინიდან ტკბილეულით ასაჩუქრებდა. საახალწლო ღონისძიება ფეიერვერკით დასრულდა.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლებისა და სპორტის სამსახური და მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

კასპის კულტურის ცენტრში ბავშვებისათვის საახალწლო ნაძვისხის ზეიმი მოეწყო. გასულ წელთან შედარებით ზეიმის მრავალფეროვანმა პროგრამამ პატარები დააინტერესა და გაახალისა. დედაქალაქიდან მოწვეულმა ცირკის მსახიობებმა და ილუზიონისტებმა საინტერესო ნომრები წარმოადგინეს. პატარებს განსაკუთრებით მოეწონათ შინაური ცხოველები და მათ მიერ შესრულებული საცირკო ნომრები. საახალწლო პროგრამა საჩუქარსაც ითვალისწინებდა, რომელიც სოციალურად დაუცველ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებსა და მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვებს მუნიციპალიტეტის გამგეობამ უფასოდ გადასცა.

შობის დღესასწაულზე კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საქველმოქმედო აქცია გამართა. კასპში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილ ბავშვებს საშობაო საჩუქრები სახლებში მიუტანა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ თელიანსა და მეტეხში სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა 230 ოჯახი ცხოვრობს. მათ მიმართ ყურადღების გამოჩენა და თანადგომა თითოეული ჩვენთაგანის ვალია. ალილოსთან დაკავშირებით კი საჩუქრები კასპის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარსაც გადავეცით - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსმა დალი დავითაშვილმა.

აქციის ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ გამგეობის კულტურის, სპორტისა და განათლების სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე და კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი.

ტრენინგი თემაზე: დაიცავი შენი შრომითი და სოციალური უფლებები

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის ინიციატივით, სპთპ-ს ცენტრალური სამსახურის ორგანიზებითა და ამერიკის სოლიდარობის ფონდის სრული დაფინანსებით 2015 წლის 25, 26, 27 დეკემბერს ბაკურიანში კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორებისა და პედაგოგებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე "დაიცავი შენი შრომითი და სოციალური უფლებები". სამდღიანი ტრენინგის წესრიგში განიხილებოდა შრომის კოდექსი /დარგების მიხედვით/, რომელიც ეხებოდა მოქალაქეთა უფლებებს: ორსულობას, მშობიარობას და ბავშვის მოვლას, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურებას, დროებითი შრომის უუნარობის გამო დახმარების დანიშვნასა და გაცემის წესს, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებას, საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომისა და კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულების ოდენობისა და გაცემის პირობებს. — ბაკურიანში გამართულ შეხვედრებს ხელმძღვანელობდნენ სპმთპ-ს პრეზიდენტი ქალბატონი მაია კობახიძე და ვიცე პრეზიდენტები ქალბატონები ნათია კორძაძე, მაია ალუღიშვილი, რომლებმაც უშუალოდ წარმართეს სამდღიანი ტრენინგი, — აცხადებს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი, — გარდა იმისა, რომ ტრენინგი თავისი თემატიკით ძალზე საინტერესო და საჭირო იყო მსმენელთათვის, ტრენინგის მონაწილეებმა ბაკურიანში განუმეორებელი და ულამაზესი დღეები გაატარეს. ვიყავით უმაღლესი კლასის სასტუმროში, იყო სამჯერადი კვება, შინაარსიანი დასვენება და რაც ყველაზე მომხიბლავია, გული ვიჯერეთ ულამაზესი ხეობის ხილვით.

სხვათა შორის, სემინარის დღეები დაემთხვა ბაკურიანის საკურორტო სეზონის გახსნას, რომელსაც მთავრობის წევრები — პრემიერ-მინისტრი ბატონი გიორგი კვირიკაშვილი და სხვა მინისტრებიც ესწრებოდნენ... სასიამოვნო, საქმიანი შეხვედრა გაიმართა საქართველოს განათლების მინისტრთან ქალბატონ თამარ სანიკიძესთან, რომელმაც სკოლის დირექტორებთან და პედაგოგებთან საუბრის შემდეგ მათთან სამახსოვრო ფოტოები გადაიღო... სამდღიანი ღონისძიება კოხტა გორაზე დამთავრდა. ტრენინგის მონაწილენი უდიდესი შთაბეჭდილებებითა და მადლიერების გრძნობით აღვსილნი დაბრუნდნენ.

რ.ქართლელიშვილი.

დამსახურებული მწვრთნელი 70 წლისაა

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა დაბადებიდან 70 წლისთავი მიულოცა საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ჭიდაობა სამბოში გიორგი ბეინაშვილს.

გიორგი ბეინაშვილი აქტიური სპორტული ცხოვრების შემდეგ კასპის, ლავრენტი კაციაშვილის სახელობის ჭიდაობის სპეციალიზებულ სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. დიდია მისი დამსახურება და წარმატებები ჭიდაობა სამბოს განვითარებაში. მან არაერთი ღირსეული და წარმატებული სპორტსმენი აღზარდა.

დამსახურებულ მწვრთნელს იუბილე მიულოცეს კასპელმა სამბისტებმა, თანამშრომლებმა და მეგობრებმა.

საღამოსასწაულო შეხვედრები

* №2 ბაგა-ბაღი

შობის დადგომამდე ჩატარდა საახალწლო ღონისძიება ქალაქის №2 ბაგა-ბაღში. საახალწლო ზეიმისათვის მზადება კი, უფრო ადრე დაიწყეს ბავშვებმა და აღმზრდელ-მასწავლებლებმა, მშობლებმა... ლამაზად მორთეს, თოვლის ფიფქებით დაამშვენეს დარბაზი, ყველაზე მთავარი მაინც საკონცერტო პროგრამის შედგენა იყო, რომელიც თავის თავზე აიღო ღონისძიების ორგანიზატორმა ნანა კიტრიაშვილმა, რომელსაც აქტიურად ეხმარებოდა გულნაზ კაციაშვილი.

— ახალი წელი ხომ ყოველთვის მხიარულ, ბედნიერ დღეებთან ასოცირდება და მოლოდინი, დიდსა თუ პატარას განსაკუთრებული აქვს, — აცხადებს ბაღის გამგე თამუნა ხოკრიშვილი, — ამიტომ, ასეთ დროს საზეიმო კარნავალის ჩატარება სულ სხვაგვარ დატვირთვას იძენს, ჰოდა, გვინდოდა, რომ პატარებთან ერთად უფროსებსაც ეხალისათ, დაესვენათ, საღამოსასწაულო განწყობა შეექმნათ.

ნამდვილად მხიარული, სასიამოვნო განწყობა იგრძნობოდა ზეიმზე, რომელიც გამოსაშვები ჯგუფის ბავშვებმა გამართეს. აღფრთოვანება ვერ დაფარეს მოწვეულმა სტუმრებმა, რომელთა შორის იყვნენ: კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი და გაერთიანების სპეციალისტი ხათუნა ხაჩიძე... აღსაზრდელებმა გამართეს საკარნავალო, კოსტუმირებული, თეატრალიზებული წარმოდგენა. პატარა მსახიობებმა ზუსტად სცენარის მიხედვით მოირგეს საყვარელი ზღაპრების ნიღბები და სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე გაითამაშეს, იყო ძალიან საინტერესო სანახაობა, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ახალი წლის მილოცვაში ულამაზესი ფიფქია და წითელქუდა, სასაცილო ნაცარქექია და დევი, მგელი... ისმოდა საახალწლო სიმღერები, ლექსები, ბოლოს, როგორც იქნა, პატარების საყვარელი თოვლის პაპაც გამოჩნდა თავის განუყრელი ხურჯინით და საჩუქრებით გაახარა პატარები.

* №1 ბაგა-ბაღი

ლამაზი, საინტერესო და მხიარული საახალწლო ღონისძიება ჩატარდა ქალაქის პირველ საბავშვო ბაღში / დირექტორი მზიური ჭაღიაშვილი/. სადღესასწაულო ზეიმის მომზადებაში ჩართული იყო ბაღის ყველა აღმზრდელ-მასწავლებელი, რომლებმაც პატარა აღსაზრდელებისათვის რამდენიმე ხნით ადრე შექმნეს პატარ-პატარა სცენარები, მერე როლებიც გაუნაწილეს ბავშვებს, მოსამზადებელ რეპეტიციებზე ყველა აქტიურობდა, მათ შორის მშობლებიც... ლამაზად მორთული დარბაზი ათასფრად მოციმციმე ნაძვის ხემ დაამშვენა. საკონცერტო გამოსვლები, რომელიც დიდხანს გაგრძელდა, ყველას მოეწონა, აპლოდისმენტებით ხვდებოდნენ პატარა შემსრულებლებს თანატოლები და მშობლები, მოწვეული სტუმრები... საკარნავალო ნიღბებითა და სამოსით გამოწყობილი ბავშვები ორ მწკრივად მოეწყვნენ, ახალ წელს ლექსებითა და სიმღერებით / მუსიკის მასწავლებელი შორენა ჯოჯიშვილი /, იმედიანი განწყობით ეგებებოდნენ პატარები, ძველს აცილებდნენ, მადლიერებას გამოთქვამდნენ თავიაანთ გამოსვლებში... მერე, ბავშვების ჟრიამულსა და ყიჟინაში 2016 წლის მეკვლეც გამოჩნდა, მას თოვლის პაპა მოუძღვოდა, ორივემ ერთად კი, დიდი სიხარულით დალოცეს მომავლის მტრედები, მშვიდობა და სიხარული, სიკეთე უსურვეს ბავშვებს და მათთან ერთად მოილხინეს... საახალწლო ზეიმის ორგანიზებულად მოწყობისათვის ბაღის გამგემ მზიური ჭაღიაშვილმა მადლობა გადაუხადა მეთოდისტს თეა მერებაშვილს, ლოგოპედს დოდო ონიანს, ფსიქოლოგს ნინო ხოკრიშვილს და მთლიანად კოლექტივს, ვინც არ დაიზარა და ყველაფერი იღონა, რომ ზეიმი სანახაობრივი და შინაარსიანი ყოფილიყო.

*დასასრული გვ7.

,,თეთრი ცილან ფიფქი ცვივა,,

მოვეფეროთ, დავაფასოთ, სიყვარული გავუზიაროთ

ექიმის თავგანწირვა სწორედ რომ გმირობის ტოლფასია, რადგან სიცოცხლის გადარჩენა ყველაზე დიდი სიქველეა. ის თითქმის ორმოცდაათი წელი ემსახურა კასპის რაიონის მოსახლეობას როგორც ექიმი ინფექციონისტი. ამჟამად 89 წლისაა. მას უამრავი ადამიანი ჰყავს გადარჩენილი, რამდენი ოჯახი გახარებული ... მას უდიდეს პატივს სცემს რაიონი. ალბათ, არ არსებობს ოჯახი სადაც ლალი რცხილაძის სახელი მოწიწებით არ ახსენონ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, თავად ყოფილა პაციენტის პირდაპირი დონორი.

2006 წელს იგი დამსახურებულ პენსიაზე გააცილეს, იყო ყვავილები, უამრავი სამადლობელი... ახლა კი თავადაა საწოლს მიჯაჭვული... ჩვენ, მისი მამულიშვილური მსახურებით აღტაცებულ ადამიანებს, ისღა დაგვრჩენია მოვეფეროთ, დავაფასოთ, სიყვარული გავუზიაროთ მას!

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოჩა გოჩიტაშვილმა უხუცეს ექიმს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა, მადლობა მოახსენა გაწეული მუშაობისათვის და დიდხანს სიცოცხლე უსურვა.

ქალბატონ ლალის ვუსურვოთ გამოჯანმრთელება და ბედნიერი სიბერე. დენი დიდროს ციტატას მოვიშველიებ ,,როცა ქალზე ლაპარაკი გსურს, კალამი ცისარტყელაში ამოავლე და ზედ ჰეპლის ფრთები დააბერტყე,, სწორედ ასეა, ცისარტყელას ფერებში ამოვლებული კალმით ვწერ, რომელიც სიყვარულის, მადლიერების ფერებითაა გაჯერებული....

ქვემო ჭალის კულტურის სახლში

ახალი 2016 წლის მობრძანება ზეიმით აღნიშნეს ქვემო ჭალის კულტურის სახლში. საახალწლოდ მორთული, ნაძვის ხით დამშვენებული კულტურის სახლის მცირე დარბაზი სტუმრებს ძლივს იტევდა, აქტიურობდნენ ახალგაზრდები, მოსწავლეები, ბავშვები. ათასფრად მოციმციმე ნაძვის ხესთან ჩამომჯდარიყო თოვლის პაპა და ბავშვების მიერ გამართული ცეკვა-სიმღერით ილხენდა. მოსწავლეები კითხულობდნენ ლექსებს, ისმოდა საახალწლო დალოცვები...

თოჯინების თეატრის მსახიობებმა კი, ნამდვილი ფურორი მოახდინეს, მათ თოვლის პაპასთან ერთად საახალწლო წარმოდგენა გამართეს, ყველა ერთად ხალისობდა, ისმოდა ქართული მრავალჟამიერი და საშობაო ალილო.

პატარა საახალწლო კარნავალის დასრულების შემდეგ თოვლის პაპამ თავისთან იხმო ბავშვები და საჩუქრებით გაახარა.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

ზემო ხანდაკის სამუსიკო სკოლაში

საზეიმო კონცერტი, რომელიც 25 დეკემბერს გაიმართა ზემო ხანდაკის სამუსიკო სკოლაში /დირექტორი ლეილა გოგიბედაშვილი/ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს მიეძღვნა. კონცერტზე მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები, კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი, გაერთიანების კურატორი იზაბელა კობიაშვილი და სპეციალისტი ირინა მიდელაშვილი. კონცერტი გაიხსნა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის მერაბ მერაბიშვილის სიმღერით "ახალი წელი".

შემდეგ პატარა მუსიკოს-შემსრულებლებმა სოფია გორგაძემ /პედაგოგი მ. ძებისაშვილი /, ანი ირემაშვილმა /პედაგოგი ლ. გოგიბედაშვილი / და ანი ქამხაძემ /პედაგოგი მ. ქამხაძე / შეასრულეს საფორტეპიანო ნაწარმოებები და დიდი აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს. შესრულებული იყო, როგორც ქართველი, ასევე უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. საინტერესო იყო მოსწავლეების: მაკა მაისურაძის, მარი ბეგლარაშვილის, თათა ედიშერაშვილის და სალომე ქამხაძის გამოსვლა. ბოლოს კი, მომღერალთა გუნდმა შეასრულა "საშობაო", რომელმაც მთელი დარბაზი აიყოლია... საზეიმო კონცერტის მშვენიერი დასასრული გახლდათ დაჯილდოების ცერემონიალი. საქმე ის არის, რომ სკოლის კურსდამთავრებულებს მასწავლებლებმა საზეიმო ვითარებაში გადასცეს სკოლის დამთავრების მოწმობები.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

ჯილდო – „ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარი„

ქართული გენი, ქართული სული რომ ყველაზე მეტად ჩვენს უნიკალურ ფოლკლორში, ცეკვასა და სიმღერებში განსხეულდა, ამაზე უკვე დიდი ხანია ხმამაღლა და აღფრთოვანებით ლაპარაკობენ უცხოეთში. დიახ, ამ საოცარი ფენომენის მადლმა და ხიბლმა მსოფლიო ბევრჯერ განაცვიფრა... ამიტომაც არის, რომ ყოველი ქართველი განსაკუთრებულად უფრთხილდება, ავითარებს და ისედაც დიადს, ქართულ ცეკვას თანამედროვეობისათვის ცნობადს ხდის.

ქორეოგრაფი, ქართული ფოლკლორის გულშემატკივარი და დამცველი, ქვემო ჭალის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის, "სხვილოს" ხელმძღვანელი ნინო პავლიაშვილი დიდი ხანია თავდაუზოგავად იღვწის. სწორედ მისი ხელმძღვანელობით ანსამბლმა მრავალ წარმატებას მიაღწია. "სხვილომ" არაერთ პრესტიჟულ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისათვის სათანადო ჯილდოც დაიმსახურა... სულ ახლახან კი, ანსამბლის წევრებმა და არა მარტო მათ, კიდევ ერთი წარმატება იზეიმეს, საქმე ის გახლავთ, რომ "სხვილოს" ქორეოგრაფი ნინო პავლიაშვილი საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა "ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარის" საპატიო წოდებითა და მედლით დააჯილდოვა.

– ასეთი წარმატებები, შემოქმედებითი სიხარული არ გვექნებოდა რომ არა საერთო განწყობა, მუდმივი ზრუნვა და მხარდაჭერა – აცხადებს ანსამბლის ხელმძღვანელი ნინო პავლიაშვილი, – დიახ, შემიძლია ერთმნიშვნელოვნად განვაცხადო რომ, "სხვილოს" წევრები და მათი მშობლები, გულშემატკივრები ყოველთვის გრძნობენ თანადგომასა და ხელშეწყობას, მხარში გვიდგას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და კულტურის სამსახური.

ასეთი დამოკიდებულება, საერთო საქმისადმი ერთობლივი გაძღოლა ხომ ბევრს ნიშნავს, იმედია, ეს ყველაფერი მოცეკვავეების სამომავლო წარმატებებზე დადებითად აისახება.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

ბავშვებმა ოჯახური ღონისძიები ახარეს

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში ორ დღეს (4 და 5 იანვარს) მიმდინარეობდა საახალწლო ღონისძიება. ზეიმის ორგანიზატორებმა ყველაფერი იღონეს, რომ ბავშვებისთვის დასამახსოვრებელი, შემეცნებითი, მხიარული დღე ეჩუქებინათ და თან საახალწლო საჩუქრებიც გადაეცათ.

– სამზადისს, რა თქმა უნდა, ადრევე შევუდექით, – აცხადებს კულტურის სამსახურის უფროსი მიხეილ ქოსაშვილი, – ცხადია, წინასწარ შევიძინეთ ბავშვებისთვის სასაჩუქრე ტკბილეული, რაც ყველაზე მთავარია, სპეციალურად თბილისიდან მოვიწვიეთ მსახიობები და პატარების საოცნებო თოვლის პაპა. ერთი სიტყვით, აქაურ პატარებს და მათ მშობლებს ახალი 2016 წელი საინტერესო წარმოდგენით მიულოცეს მსახიობებმა და მომღერლებმა. საინტერესო სანახაობა გამართეს ცირკის მსახიობებმა და აკრობატებმა, ილუზიონისტებმა... ემოციური იყო კოპწია და გამოპრანჭული, გაწვრთნილი ძაღლების სცენაზე გამოჩენა, ამაზე, რა თქმა უნდა, პატარებმაც და უფროსებმაც ძალიან იხალისეს. შემდეგ შეკრებილთა წინაშე გამოვიდა თოვლის პაპა, რომელიც სცენაზე რიგრიგობით უხმობდა მუსიკალური ცენტრის საესტრადო სიმღერების შემსრულებლებს: ანი ოქროპირიძეს, მარიამ ბერიძეს, თამარ ბალიაშვილს, ნინო ბალხამიშვილს, მარიამ მაისურაძეს, ნინი ცქიტიშვილს, გიორგი გაბისონიას, გიორგი ჯავახიშვილს, ლიზი ლეჟავას... – მარტო კასპში კი არა, სოფლების კულტურის სახლებშიც გაიმართა საახალწლო ღონისძიებები, – საუბრობს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, – კავთისხევის, ხოვლის, ახალქალაქის, დოესის, თვალადის, ქვემო გომის, ზემო ხანდაკის და სხვა სოფლების ბავშვებიც შეუერთდნენ საახალწლო ზეიმს და საჩუქრებიც მიიღეს.

ახალი წლის დადგომამდე, რამდენიმე დღით ადრე სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებს გადაეცათ მოსაწვევი ბარათები და ბუნებრივია, დაურიგდათ საახალწლო საჩუქრები.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

,,რისკით ვჭვს სიყვარულს ვსვითი ლოცვირთვა?,,



“იცოდეთ, არცერთი სიტყვა უკვალოდ არ ქრება და ღვთის წინაშე ჩვენი მეტყველების გამოც განვისჯებით. ამიტომაც წერს მათე მახარებელი: ყოველი ფუჭი სიტყვისთვის, რომელსაც იტყვიან კაცნი, პასუხს აგებენ ისინი განკითხვის დღეს, რადგან ჩვენივე სიტყვებით განვმართლდებით და ჩვენივე სიტყვებით გავმტყუნდებით (მთ.12,36).

“სხვადასხვა გატაცებას, რომელიც ადამიანს ხანმოკლე დროით ეწვევა ხოლმე, დღეს სიყვარულს უწოდებენ. იგი, პირველ რიგში, ნამდვილი სიყვარულისაგან იმით განსხვავდება, რომ თავგანწირვის უნარისგან თითქმის სრულად დაცლილია, საკუთარ ინტერესებზეა ორიენტირებული და არსებობს მანამ, ვიდრე ამა თუ იმ პიროვნების ეგოისტურ ზრახვებს რაიმე საფრთხე არ დაემუქრება.

ბუნებრივია, ასეთ გრძნობებზე დამყარებული ურთიერთობა მყიფეა, ხანმოკლე და მას არაფერი აქვს საერთო თავდადებულ, ნამდვილ სიყვარულთან.

მოჩვენებითი სიყვარული არის დღევანდელი ოჯახების რღვევის მთავარი მიზეზიც. ცოლ-ქმარს აღარ შეუძლიათ ერთმანეთს სათანადო პატივი მიაგონ, დადგნენ პირად ინტერესებზე მაღლა და უღელი ერთად გასწიონ. რაკი მათ სიღრმისეული გრძნობები არ აკავშირებთ, მცირედი უსიამოვნებების გამოც ადვილად ამბობენ უარს პასუხისიმგებლობაზე და “ახალი სიყვარულის” ძებნას იწყებენ.

ზოგიერთი ოჯახი შეიძლება არც დაინგრეს, მაგრამ უსიყვარულობამ მუდმივი ჩხუბი და უთანხმება წარმოშვას; ასეთ გარემოში კი ბავშვები ითრგუნებიან და მძიმე ხასიათი უყალიბდებათ.

აცნობიერებს კი ამას დედ-მამა? აცნობიერებენ, რომ მატერიალური უზრუნველყოფა რომც ჰქონდეთ მათ შვილებს, ბავშვებმა თუ ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან სასწავლებელში, ოჯახში, ვერ დაინახეს ერთგულება, პატივისცემა, პატიების, სხვისთვის მსახურებისა და გულითადობის მაგალითი, თავადაც ამ გრძნობებისაგან დაცლილნი და ნაკლულევანნი იქნებიან, რაც შემდეგ მათ პირად ცხოვრებაზე უარყოფითად იმოქმედებს.

მშობლები ამ ცოდვას როგორ გამოისყიდიან?

ქორწინება ეკლესიის ერთ-ერთი საიდუმლოა. ეს არის ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრება სულიერი და ხორციელი ერთობისათვის, რათა ერთმანეთს შეეწიონ იმ მდგომარეობის მისაღწევად, რასაც გულისხმობს განღმრთობა.

ეს პროცესი ჰგავს ოქროს გამოდნობას, რაც ოჯახურ ყოფაში ვლინდება ღვთის სადიდებლად ურთიერთმსხვერპლშეწირული სიყვარულით, განსაცდელთა ერთობლივი დათმენით და მოყვასისადმი მსახურებით.

რა თქმა უნდა, განღმრთობის მიღწევის სურვილი არის ბერმონოზვნური ცხოვრების მთავარი აზრიც, ოღონდ ამ შემთხვევაში სრულყოფის პროცესი განსაკუთრებულ მოღვაწეობას გულისხმობს. იგი უფრო რთული გზა არის და ნურავინ იფიქრებს, რომ ეგოისტურად მხოლოდ საკუთარ თავზეა ორიენტირებული. ბერმონოზვნობა არის ასკეტური მსახურება ღვთისა და მოყვასისათვის ამ სიტყვის ფართო გაგებით.

წმინდა წერილი ბრძანებს: ,,შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი” (დაბ.1.27), - როგორი დიდი აზრია ჩადებული ამ წინადადებაში, რომელიც გვიცხადებს, რომ უფლის სადიდებელად მოწოდებული მარტომყოფობაც და ცოლ-ქმრის თანაცხოვრებაც დალოცვილია და ცხოვრების ამ წესის დარღვევა, მოშლა, ან დამახინჯება არ შეიძლება.

უსიყვარულობასთან ერთად ჩვენი ყოფისთვის მეტად დამაბრკოლებელ გარემოებად იქცა ისეთი აზროვნებისთვის ხელშეწყობა, რომლისთვისაც ცოდვა აღარ არის ცოდვა, არამედ - ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა, ხოლო ცოდვის სიყვარული, - თურმე ნამდვილი სიყვარულის ერთ-ერთი სახე. სიტუაცია ისე ვითარდება, რომ უფლის მიერ დადგენილი მცნებების შეცვლაც კი სურთ, რათა ღვთისაგან არ იქნენ მხილებულნი, არამედ, მისაღებნი გახდნენ ყველასათვის. ხოლო ვინც ეწინააღმდეგება ამ პროცესს, დამცირებისა და დაცინვის ობიექტი ხდება.

ეს არც არის გასაკვირი. ჯერ კიდევ ბრძენი სოლომონი წერდა: ,,ღვთისმგმობელის დამრიგებელი დამცირებას მიიღებს, ბოროტეულის მამხილებელი, - შეურაცხყოფას” (სიბრძნ. სოლ. 9,7).

როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა. რა თქმა უნდა, მას უყვარს ძე შეცდომილიც, ოღონდ მონანული, მაგრამ სძულს ცოდვა. ქრისტე მკვეთრ ზღვარს ავლებს სიკეთესა და ბოროტებას შორის და ამბობს: ,,არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა” (მთ. 10.34).

გავიხსენოთ პავლე მოციქულიც: ,,ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღმრთის სასუფეველს... ვერც მეძავნი, ვერც კერპთმსახურნი, ვერც მემრუშენი, ვერც ჩუკენნი, ვერც მამათმავალნი, ვერც მპარავნი, ვერც ანგარნი, ვერც მემთვრალენი, ვერც მაგინებელნი, ვერც მტაცებელნი” (კორ. 6.9-10).

მათდამი ჩვენი სიყვარული იმით უნდა გამოვხატოთ, რომ ვეცადოთ, როგორმე დავანახოთ მათი ცდომილება. ერთი პიროვნების სწორ გზაზე დაყენებაც კი, კეთილისმყოფელის მრავალ დანაშაულს დაჰფარავს. თუმცა ამის მიღწევა ადვილი არ არის, მით უმეტეს დღეს, როდესაც ამპარტავნების ხარისხი იმდენად დიდია, რომ ადამიანი ვეღარ იტანს შენიშვნას.”

“საკუთარი თავის შეცნობა ზოგიერთს ადვილი ჰგონია და არ იცის, რომ სინამდვილეში პიროვნების სამსახოვნებასთან აქვს საქმე: 1. როგორადაც თვითონ ხედავს იგი საკუთარ თავს. 2. როგორც სხვები ხედავენ მას და 3. როგორიცაა ის სინამდვილეში.

ყველაზე რთული ამ მესამე მდგომარეობის აღმოჩენაა, რადგან ჩვენში არსებული ამპარტავნებით სავსე ეგოისტური ,,მე” ჩვენს სისუსტეებსა და მცდარ ნაბიჯებს მუდმივად გამართლებას უძებნის და შემწყნარებელია მათ მიმართ; ეს კი რეალობის შეგრძნებას გვიჩლუნგებს.

“ჩვენმა ყოფამ ინტრიგას დიდი გასაქანი მისცა, ფაქტობრივად, ცხოვრების წესად აქცია იგი და ადამიანი სრულიად დაუცველი დატოვა. ეს ქვეყანას ძალიან დააზარალებს.”

გონიერია ის, ვინც სწორად განსჯის უნარს შეიძენს და თავის შინაგან სამყაროში ჩახედვისას არაფრის შელამაზებას არ მოინდომებს. მაშინ მიემსგავსება იგი იმ ჭეშმარიტ მჭვრეტელს, რომელიც უკვე ნა-თლად ხედავს თავისი სულის აქამდე ბუნდოვან, ან თუნდაც სრულიად უცნობ, ფრიად დაზიანებულ სამყაროს და მისი აღდგენისა და განახლებისაკენ ისწრაფვის.

ჩვენი ნამდვილი ,,მე-ს” დამახინჯების მიზეზი არასწორ ქმედებებთან ერთად ცუდმეტყველება და ცუდი აზრებია.

საერთოდ, სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ კი მისდამი ზერელე დამოკიდებულებას ვიჩენთ და ვერ ვაცნობიერებთ, რომ მას მარადიულ სიკვდილ-სიცოცხლესთან ღრმა კავშირი აქვს.

რატომ აქვს სიტყვას ასეთი დატვირთვა?

წმინდა იოანე მახარებელი მაცხოვარზე საუბრით იწყებს თავის სახარებას და ასე წერს: ,,პირველითგან იყო სიტყვა” (ინ. 1.1).

დიახ, მოციქული, რომელმაც განგვიცხადა, რომ ღმერთი სიყვარულია, სიყვარულთან ერთად, მას სიტყვადაც სახელდებს, რითაც ხაზს უსვამს მაცხოვრის საღვთო, ბუნებით ძეობას და ამასთან ცხადყოფს მამის და მხოლოდშობილი ძის, სიტყვის, შემოქმედებით ძალას, რადგან ძე, როგორც შემოქმედი, მამისაგან ცალკე არ განიხილება: ,,სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა... და ყოველივე მის მიერ შეიქმნა”(ინ. 1.1-3).

სამყაროს წარმოშობის შესახებ ბიბლიაში წერია: ,,თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი. თქვა ღმერთმა: იყოს წყალთა შორის მყარი... და იქმნა ასე. თქვა ღმერთმა: იყოს მნათობები ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დრო-ჟამის აღმნიშვნელად... და იქმნა ასე”(დაბ. . 3,6,7,14,15)

ანუ სიტყვით ხდება დაბადება, ქმნილებათათვის სიცოცხლისა და ფუნქციის მინიჭება, რაც ღმერთის თვისებაა!

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვასახელს, როგორც პიროვნებისათვის, ისე საგნისა თუ მოვლენისათვის, რადგან მასში ჩადებული შინაარსი ბევრ რამეს განსაზღვრავს. სახელდება თავდაპირველად ყოვლადწმინდა სამების მიერ მოხდა: ,,ნათელს ღმერთმა უწოდა დღე და ბნელს უწოდა ღამე, ... მყარს ღმერთმა უწოდა ცა, ხმელეთს, - მიწა (დაბ.1.5.8.10), ადამსაც სახელი მან დაარქვა...

შემდეგ კი ღმერთმა მეტყველების უნარი და სახელდების უფლება, ცოცხალ არსებათა შორის ერთადერთს, თავის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს უბოძა, როგორც შესაქმის გვირგვინს.

ადამმა სახელი დაარქვა პირუტყვებს, ცის ფრინველთ და ველის ცხოველთ, ასევე მის შემწედ შექმნილ ქალს; დაცემის შემდგომ ადამიანმა სახელები უწოდა თავის შთამომავალთ, საგნებს, გარემო-სამყაროს და ა.შ.

სამოთხეში ურთიერთობა ღმერთსა და ჩვენს პირველმშობლებს შორის სრულიად დაუბრკოლებელი იყო და პირველმ

*დასასრული გვ.

ამონარიდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლედან

,,რისგან ვჭვრეტ ნიკოდიმეს ნაღვაწი?,,

***დასასრული.**

შობლები ერთიმეორეს აზრისმიერად ეზრახებოდნენ. ცოდვით დაცემის შემდგომ კი ეს კავშირი დაირღვა; ჩვენი გრძნობების გამოსავლენად და ერთმანეთთან ურთიერთობის დასამყარებლად აუცილებელობა გაჩნდა მატერიალური სიტყვისა.

ღმერთის მსგავსად, ადამიანის მიერ წარმოთქმულ სიტყვასაც ძალა აქვს. ოღონდ, უფლისგან განსხვავებით, მისი ძალა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. იცოდეთ, არცერთი სიტყვა უკვალოდ არ ქრება და ღვთის წინაშე ჩვენი მეტყველების გამოც განვისჯებით. ამიტომაც წერს მათე მახარებელი: ყოველი ფუჭი სიტყვისთვის, რომელსაც იტყვიან კაცნი, პასუხს აგებენ ისინი განკითხვის დღეს, რადგან ჩვენივე სიტყვებით განვმართლდებით და ჩვენივე სიტყვებით გავმტყუნდებით (მთ.12,36).

ჩვენ კი როგორი უგულისხმონი ვართ! ფუჭ საუბარზე რომ აღარაფერი ვთქვათ ნახეთ, როგორი შემწიკვლებულია ჩვენი ბაგეები დაცინვით, რისხვით, შეურაცხყოფით, ცილისწამებით, სიცრუით, სიტყვის გატეხვით, უმადურობით, ცრუფიცით, წყევლით, გინებით... „ენა მცირე ასოა, და დიდად კი მძლავრობს; აჰა, რა მცირე ცეცხლი ბუგავს დიდ ტყეს" და „სავსეა მომაკვდინებელი გესლით" (იაკ.3,5, 8).

„ენით ვაკურთხებთ ღმერთს და მამას და ენითვე ვგმობთ ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილ კაცთაც" (იაკ. 3;9). ამიტომაც, თუ ვინმეს „ღმრთისმოყვარე ჰგონია თავი და ლაგამს არ ამოსდებს ენას, იცოდეს, ფუჭია მისი ღვთისმოსაობა" (იაკ.1, 26).

ერთმა კაცმა სოკრატეს ჰკითხა: იცი რა უთქვამს შენზე შენს მეგობარს?

სოკრატემ კითხვა შეუბრუნა: „დარწმუნებული ხარ, რომ რის თქმასაც აპირებ, სიმართლეა?

- ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე დარწმუნებული ვარ, რადგან სხვისაგან

„ენით ვაკურთხებთ ღმერთს და მამას და ენითვე ვგმობთ ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილ კაცთაც" (იაკ. 3;9).

მოვისმინე.

- რაც უნდა მითხრა, კარგი ამბავია?

- არა, პირიქით.

- ე.ი. შენ უნდა მითხრა რაღაც ცუდი, და არც იცი, ეს რეალობას შეესაბამება თუ არა. სარგებლობის მომტანი თუ მაინც არის?

- ვფიქრობ, არა.

- „თუ ინფორმაცია, რომელიც გინდა მომაწოდო, არ არის არც კარგი, არც მართალი და არც სასარგებლო, რა აზრი აქვს

"ერთი პიროვნების სწორ გზაზე დაყენებაც კი, კეთილისმყოფელის მრავალ დანაშაულს დაჰფარავს."

მის თქმას?!" - უპასუხა სოკრატემ და განეშორა მოსაუბრეს. დღეს ასე ცოტა ვინმე თუ მოიქცევა.

ჩვენმა ყოფამ ინტრიგას დიდი გასაქანი მისცა, ფაქტობრივად, ცხოვრების წესად აქცია იგი და ადამიანი სრულიად დაუცველი დატოვა. ეს ქვეყანას ძალიან დააზარალებს.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის სამწუხარო ფაქტიც, რომ დიდი ხანია, ვაჟებიც და ახლა უკვე

"მშობლის შეურაცხმყოფელს ღმერთი განსაკუთრებულად სჯის."

გოგონებიც საკუთარი მშობლების მისამართითაც არ ერიდებიან ბილწსიტყვაობას და ვერც ხვდებიან, რომ თავის თავს იწყევლიან და სასტიკ სასჯელს განიწესებენ, რადგან მშობლის შეურაცხმყოფელს ღმერთი განსაკუთრებულად სჯის.

საერთოდაც, წახალისება ხდება უცენზურო გამოთქმების და ტირაჟირება ავადმყოფური აზრების. ეს სიკვდილის გზაა, ჯოჯოხეთის წყვდიადისკენ მიმავალი გზა. ღმერთმა ყველა იხსნას ასეთი დაცემისაგან, მისცეთ სიტყვა წმინდა და მართალი და გულისხმისყოფა ბოროტისაგან თავის დასაღწევად.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი საქმე, რაც კი შეიძლება ამქვეყნად აღასრულოს ადამიანმა, არის ლოცვა. იგი საუბარია ღმერთთან, სინანულია, მის წინაშე სულისა და გულის განფენაა. ეკლესიის და სასულიერო პირებისათვის ლოცვა პირდაპირი მოვალეობაა, მაგრამ იგი ასევე მოვალეობაა საერო პირთათვის.

აი, როგორ გვარიგებს მოციქული: „უჭირს რომელიმე თქვენგანს? ილოცოს; ხარობს ვინმე? ფსალმუნი იგალობოს... რწმენის ლოცვა იხსნის სნეულს... და თუ ცოდვები აქვს ჩადენილი, მიეტევება; ილოცეთ ერთმანეთის გამო... ბევრი რამ ძალუძს მართლის ლოცვას" (იაკ. 5. 13, 15-16). მართალში კი მაცხოვრის მცნებებით მცხოვრები პიროვნება იგულისხმება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულით იქნება შემოსილი, რადგან „სიყვარულია სიმტკიცე სრულქმნილებისა" (კოლ.3,15). ასეთი ადამიანი სხვათაგან დიდად განირჩევა. იგი „სულგრძელია და ტკბილი. სიყვარულს არ შურს, სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ზვაობს, არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს, არ შეჰხარის უსამართლობას, ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს (კორ. 13.4-9).

სიყვარულის გარეშე კი, ღვთის წინაშე, ნებისმიერი სათნოება აზრს კარგავს და უქმდება. აი, რა სულისშემძვრელ სიტყვებს ამბობს წმ. პავლე მოციქული:

„კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოჟღრიალე... წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო, და მქონდეს სრული რწმენა ისე, რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ... მთელი ჩემი ქონება რომ გავყიდო გლახაკთათვის, და დასაწვავად მივცე ჩემი სხეული, სიყვარული თუ არა მაქვს, არარას მარგია" (კორ.13.1-3).

ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ღვთაებრივი სიყვარული მოვიპოვოთ. ეს უნდა იყოს კაცთა მოდგმის ცხოვრების მიზანი. ამიტომაც ბრძანებს წმინდა წერილი: „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით, - აი, უპირველესი მცნება და მეორე, ამისი მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი" (მარკ.12.30-31).

როგორც წმინდა იოანე ოქროპირი წერს: „ღმერთმა მრავალი გზა დასახა მასთან მისასვლელად. ზოგნი ქალწულებით ბრწყინავენ, სხვანი ქორწინებით განდიდნენ, კიდევ სხვანი ქვრივობაში უბიწოების დაცვით შეიმკვნენ, ვიღაცამ მიწიერი სიკეთენი სრულად უარყო, ზოგმა, - სანახევროდ;

ცოდვამ გძლია? სინანულით, აღსარებითა და ზიარებით განიწმინდე.

მდიდარი ხარ? - მოწყალება უხვად გაეცი.

თუ გიჭირს და სხვას მატერიალურად ვერ შეეწევი, ავადმყოფს მიხედე, პატიმარი მოინახულე, ჭიქა წყალი მწყურვალს მიაწოდე, მწირი შეიფარე, მტირალთან იტირე, ვინმე სიტყვით ანუგეშე...

თუ ისეთი ღატაკი ხარ და დავრდომილი, რომ ვერავის დაეხმარები, უდვრტვინველად გადაიტანე ეს ყველაფერი და მართალი იობივით უდიდეს ჯილდოს მიიღებ.

ამგვარი იყო სახარებისეული ლაზარეს სათნოება. მას თავისთვის საზრდოც არ ჰქონდა, ვერც ავადმყოფს შეეწეოდა და ვერც საპყრობილეში მყოფს, რადგან უძლურების გამო, წამოდგომის უნარიც არ ჰქონდა, ამასთან ხედავდა სასტიკთა და უსჯულოთა პატივსა და განცხრომას და ერთი სიტყვაც არ დასცდენია გულისწყრომისა, არამედ მხოლოდ მადლობდა ღმერთს ყველაფრისათვის. აი, ასეთი ცხოვრების გამო დაიმკვიდრა მან აბრაამის წიაღი."

რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია ხორცისა და სულის ტკივილს გაუძლო ისე, რომ განკითხვაში არ ჩავარდე; ეს მოწამეობის ტოლფასია და სათნოებათა მწვერვალი. ჩვენს დროში ბევრი გაჭირვებულია და დავრდომილიც და თუ ვინმე შეძლებს წმინდა ლაზარესავით უდრტვინველად, მადლობით მიიღოს განსაცდელი, დიდების გვირგვინს მოიპოვებს.

ამ ეპისტოლეში ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ ასპექტს შევეხეთ მხოლოდ.

ბუნებრივია, პრობლემები გაცილებით მეტი გვაქვს, ამას ემატება მთელს მსოფლიოში შექმნილი ფეთქებადსაშიში მდგომარეობა, ათასობით უდანაშაულო ადამიანის დაღვრილი სისხლი, დევნილთა სიმწარე და ხვალინდელი გაურკვეველი დღის მოლოდინი...

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მეტად მძიმეა, მაგრამ უფრო საშიში ხორცის მოკვდინება კი არა, სულის წარწყმედაა!

უფალი მოწყალეა. მთავარია, შევიცნოთ თავი ჩვენი, გავაცნობიეროთ, სად არის ოქროს შუალედი, სადამდე უნდა ჰქონდეს ზღვარი ჩვენს ქმედებას, ჩვენს თავისუფლებას, რომ იგი უარყოფითი შედეგის მომტანი არ იყოს.

მოვუსმინოთ ერთმანეთს, უარი ვთქვათ კატეგორიულ აზროვნებაზე, უარი ვთქვათ ჩვენს სისუსტეებზე, რათა შევძლოთ სულიერად განახლებული ცხოვრება დავიწყოთ, რომ ჩვენზეც აღსრულდეს პავლე მოციქულის სიტყვები:

„ოდესღაც ზოგიერთი თქვენგანი ცოდვის მონა იყო, მაგრამ განიბანეთ, მაგრამ განიწმინდეთ, მაგრამ განმართლდით უფლის ჩვენი იესო ქრისტეს სახელით და ღმერთის ჩვენის სულით." (კორ.6,11)"

იკითხეთ გაზეთი "ახალი განთიადი"

მუჭრიკა – წელინწადის ძეხუთე დრო ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მოჭრაძანდით ოდაკციაში, გაეცანით თქვენი ნაბუძგევები (ნამოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და ეაცანით ინინი ნახოვადოებას.

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ყოვრება ალაბაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი ხდებიან.

შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო ნუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით სასურველი სტუმარი.

მკითხველს შეუძლია მოგვანოდოს საავტორო კროსვორდები, შემეცნებით-გასართობი მასალები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე – კასპი, საკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

კასპის ერთ დიდ კლდეს გასწერიან

ორლობის თოვლში კაცები დგანან და კასპის ერთ დიდ კლდეს გასწერიან,

,,ვეფხისტყაოსნის სამეცნიერო,, ჰგვანან –

თოვლს და სამშობლოს ზამთარს შვენიან

...

არუ ნამეტნავად მთვრალები ჩანან,

არუ მთლად ფხიზლებში სნერიან

,,საქართველოო ლამაზო,, – სულისშემძვრელად მღერიან.

მურმან ლეონიძე.

გამოგვიგზავნეთ! რეკლამირებთ ბაზრობა-მაცივარში შეხვედრილი გამოგვიგზავნეთ!

,,ახალი განთიადი,, იძებნა ბაზრობებზე ბურუსებზე ბაზრობა-მაცივარში შეხვედრილი. თხოვნით მიმართავთ თანამრეალებს - გამოგვიგზავნეთ ბაზრობა და ბაზალიანი ფოტოები! ლაზარეთ თეკვენი ყველი ჩვენს მაცივარში!

აჩიკო ჯოჯიშვილი

ვგიჟდები შენზე,
შეხვედრა მინდა,
ოღონდ დღეს არა!
არვიცი როდის,
მე შენ მიყვარხარ,
გაღმერთებ ცამდის,
ჩემდამი ლტოლვა
გასწავლის ლოდინს.
არ მიყვარს წვიმა,
ოღონდ დღეს არა!
დღეს ხომ იწვიმებს,
გულს გამიხარებს,
დღეს ვერ შეგხვდები,
წვიმამ გამიგო,
მე მგონი ჯერ არც
გამოიდარებს
და ხვალ კი გნახავ?
ხვალ ხომ ქარია,
თმებს ამიწეწს და
გრძნობას ამიმღვრევს,
ოღონდ შემხვდი და
მთელი მსოფლიოს,
ვარდებს მოვკრეფ და
ფეხქვეშ გაგიფენ.

***

კოცნას გაჩუქებ ათას ერთს
თვით ათას ერთი ღამიდან,
ღრუბლების თავშალს მოგახვევ
ჩრდილად დაკოპლილს მთვარისგან.
ნატვრის ქარცეცხლში, ძვირფასო,
რამდენი წელი გავიდა,
რა მინდა, ვერ გამიგია,
მართლა არ ვიცი რა მინდა,
მხოლოდ შენს თმებში ჩაწნული
მზის სხივის ფერება მინდა,
აღარც წინ მიშვებს ოცნება,
ვერც დამიწყია თავიდან,
ნატვრეებიც შემომფერფლია,
მტვერი გამხდარა მთვარისა,
გრძნობებსაც გავუწირვივარ
საჯიჯგნად ცხელი ღამისა,
აღარაფერს არ მოველი
არც შენგან, აღარც ქარისგან,
უბრალოდ ერთ ღამეს
გჩუქნი იმ ათას ერთი
ღამიდან.

***

ღვინის ქუჩას ცრემლის
დენით მივუყვები,
ღვინის სმაში ეს
ცხოვრება გამსხლტომია,
გაფრენილა, ჩემი წლებიც
გაფრენილა,
ქსოვრელების დილის
საარს გაჰყოლია.
ისევ ვეტრფი, ღვინის
სმაში დამხრჩვალ
ცრემლებს,
გული ისევ ლამაზ ჰანგებს
აჰყოლია,
ისევ ვაღვრი ლამაზ
ღიმილს ცაში ვარსკვლავს,
ერთი კოცნაც სანატრელი
გამხდომია.
ისევ, ისევ, დუდუკს ვეტრფი,
ლამაზ ქალებს,
ჩუმი ცრემლი ღვინოს
სევდად წაუღია,
ნაბახუსევს, ღვინით
მთვრალი ჩემი გული
ქსოვრელების დილის
საარს გაულღვია.

***

ნეტავი, ვიყო უჩინმაჩინი,
სხვაგვარად ნახვა მე არ
მელირსა,
ჩამოვჯდებოდი შენს
გულთან ახლოს,
შევისუნთქავდი სურნელს
თმებისას.
გაგიტაცებდი, თუნდ
ოცნებებში,
მთვარეზე? არა უფრო
სადღაც შორს,
სადაც თვით ოქროს ჩალის
ფასი აქვს,
იქ გრძნობა ფასობს, გული
ნავარდობს.
ვგრძნობ ჩემო კარგო,
ოცნებებს ვწვავ და
ნატვრადღა შემრჩი
ცრემლი მდენია,
ისევ სიზმრებში
დაგელოდები,
აბა, სხვა მეტი რა
დამრჩენია.

***

დილით თოვდი,
იისფერი გედგა ფატა,
დამეღვარე,
გრძნობად გულზე
დამეღვარე,
ასე ნაზი,
ვიცი, ვიცი, ღამემ გხატა
ზეცამ არა,
შენ მოხატე არემარე,
როგორ მინდა,
არ გამიდნე არასოდეს,
განშორება გულზე
სევდად არ მათოვო,
გიხაროდეს,
ჩემთვის თოვა გიხაროდეს,
ჩემს გარეშე,
არასოდეს გადითოვო,
ვიცი მაინც,
უნებართვოდ დამიდნები,
მზის სხივებში
ჩაღვრილ
გრძნობას მანაცვალებ,
სხვა რა დამრჩა,
ახალ თოვად გელოდები,
ცივი ხარ და
მაინც
გრძნობით გენაცვალე.

***

შეხსენით სიყვარულს
გრძნობების საკინძე,
ახსენით აზღუდი
სირცხვილის მანტიას,
გაწურეთ ვნებები, მზის
სხივზე აკინძეთ,
ურცხვად შეაფეთეთ
თვალები განთიადს.
გულები დაძენძეთ, ღამეში
ჩაყარეთ
ვარდებს დაუკოცნეთ
სათუთად კვირტები,
ცრემლები ოცნების
გუბეში ჩაღვარეთ,
შეამკეთ ერთურთი
ლამაზი სიტყვებით.
მიყვარხარ... ძვირფასო...
სადა ხარ... შენი ვარ...
უშენოდ სიცოცხლე
შავთეთრი ფერია,
მე შენი ფიქრების სათუთი
მცველი ვარ,
შენ მყავხარ ყვავილთა
დამმტვერი ფერია.
ჩაწურეთ გულები
გრძნობების მორევში
და მერე მიხვდებით
სამყარო თქვენია.

სპორტული 2015

(თავისუფალი ჭიდაობა)

კასპის ლავრენტი კაციაშვილის სახელობის ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლის (დირექტორი ალექსანდრე ხუციშვილი) თავისუფალი სტილის სექციის (უფროსი მწვრთნელი თემურ გაბოძე, მწვრთნელი ზელიმხან ილურიძე) ჭაბუკი მოჭიდავეები 2015 წლის სპორტული სეზონის განმავლობაში რამდენიმე ტურნირის ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ:

1. თებერვალი-მარტი – ოთარ არჩვაძის ხსოვნის ტურნირი, საგარეჯო: I ადგილი – ედი ბუღულაშვილი, II – დანიელ მარქარაშვილი;

2. მარტი – ამირან მაისურაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, თბილისი: III ადგილი – დავით მარქარაშვილი, მიხეილ ხუციშვილი, ვახტანგ მიდელაშვილი;

3. მარტი – ოთარ ცანავას საიუბილეო საერთაშორისო ტურნირი, ბათუმი: II – ედი ბუღულაშვილი, დანიელ მარქარაშვილი;

4. აპრილი – საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნოდარ ბეკურაშვილის სახელობის მემორიალური ტურნირი, თბილისი: I – დანიელ მარქარაშვილი, ედი ბუღულაშვილი;

5. მაისი – ლეგენდარული არსენ მეკოკიშვილის ხსოვნის ტურნირი, საგარეჯო: III – ედი ბუღულაშვილი, დანიელ მარქარაშვილი, მევლუდ კაკიაშვილი, ტარიელ მიდელაშვილი;

6. მაისი – გენადი გიორგაძის სახელობის ტურნირი, მცხეთა: II – რევაზ ბერიანიძე, სანდრო გაბოძე, გიორგი მანჯიკაშვილი;

7. ივლისი – შავი ზღვის თასის გათამაშების საერთაშორისო ტურნირი, ბათუმი: III – ედი ბუღულაშვილი;

8. ოქტომბერი – გურამ საღარაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, ამბროლაური: I – ედი ბუღულაშვილი;

9. ოქტომბერი – ზარიბეგ ბერიაშვილის სახელობის ტურნირი, თბილისი: II – ედი ბუღულაშვილი;

10. ოქტომბერი – გიორგი გზირიშვილის ხსოვნის ტურნირი, საგარ

***დასასრული გვ10.**

,,თეთრი ცილან ფიფქი ცვივა,,

***დასასრული**

* №3 ბაღი

საახალწლო ზეიმის მოწყობა ქალაქის მესამე საბავშვო ბაღში (გამგე თეა ქუტაშვილი) უფროსი ჯგუფის აღმზრდელმა მარეხ აფციაურმა ითავა, თუმცა, მას აქტიურად ეხმარებოდნენ სხვა აღმზრდელებიც, რაც ყველაზე მთავარია, ბავშვებმა ძალიან მოინდომეს, ცდილობდნენ დამაჯერებლად შეესრულებინათ როლები და კარგად წარმოეჩინათ საკუთარი თავი და ეს ყველაფერი ძალიან კარგად მოახერხეს ბავშვებმა... მომზადებული ჰქონდათ პატარების საყვარელი პიესები: "ფიფქია და შვიდი ჯუჯა", "წუნა და წრუწუნა", "კომბლე" და კიდევ სხვა ზღაპრის გმირების წარმოდგენა შეძლეს.

აღსაზრდელებმა მარიამ კაციაშვილმა, ნინი მამულაშვილმა, ნიკოლოზ შარიფაშვილმა, მარიამ თაბორიძემ, თამაზ კვთიაშვილმა, გიორგი თაბუაშვილმა, თამაზ მამულაშვილმა, გუგა გორგაძემ, ნიკოლოზ სულაშვილმა, სანდრო ხანოიანმა, ნიკოლოზ ბატკუაშვილმა, ნიკოლოზ ხანოიანმა, ლაშა ქორთიაშვილმა და სხვებმა შესანიშნავად მოირგეს როლები, ლამაზად გამოვიდნენ სცენაზე, ზღაპრების გმირების სახელით მიულოცეს ყველას ახალი წელი, სანახაობრივი იყო ძველი წელის /თხა / გაცილება და ახლის /მაიმუნი / მოსვლა, ეს როლები ბავშვებმა მოხერხებულად და შინაარსიანად განასახიერეს სცენაზე... ზეიმი კიდევ უფრო დაამშვენა თოვლის პაპის გამოჩენამ, საერთო სიხარული, ემოციები ბავშვებთან ერთად მშობლებმაც გამოხატეს დაყ ველა ერთად ზეიმობდა ახალი წლის მოსვლას.

* №4 ბაღი

ახალი 2016 წლის მობრძანება ზეიმით აღნიშნეს კასპის №4 საბავშვო ბაგა-ბაღის საშუალო ჯგუფის აღსაზრდელებმა /ხელმძღვანელი ნელი გორგაძე, თანაშემწე მარიამ აბელაშვილი, მეთოდისტი ლუიზა ბაინდურაშვილი /. ჯგუფის ყველა ბავშვი მონაწილეობდა ზეიმში, პატარების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მათ ლამაზად მორთულ და ორიგინალური ნაძვის ხის ქვეშ საგულდაგულოდ შეფუთული საჩუქრები აღმოაჩინეს...

– ჩვენი აღსაზრდელის ერთ-ერთმა მშობელმა დიდი სამსახური გაგვიწია, – საინტერესო ამბავს გვიყვება ბაღის გამგე დალი კოტეტიშვილი, – საქმე ის გახლავთ, რომ მან გვათხოვა, იტალიიდან გამოგზავნილი სრულიად განსხვავებული ნაძვის ხე, რომელიც გამოსცემდა მუსიკალურ ჰანგებსა და თოვლის ფანტელებს, სხვადასხვა ფორმის ფიფქებს, ეს ყველაფერი ბავშვებისთვის კი არა, უფროსებისათვისაც კი საინტერესო სანახავი იყო, ამიტომაც იხალისეს ბავშვებმა ასე კარგად და ხალისიანად.

მხიარული ცეკვა-თამაშის შემდეგ მეკვლეც (პატარა ანდრია კოტეტიშვილი) გამოეცხადა ბავშვებს და გულიანად დალოცა ყველანი. ზეიმი დაასრულა "ალილომ", რომელსაც ბავშვებთან ერთად მღეროდნენ აღმზრდელები, მშობლები.

* №5 ბაღი

ახალი 2016 წლის მობრძანება კასპის №5 საბავშვო ბაგა-ბაღის / გამგე ლალი მილაძე / ყველა ჯგუფში საზეიმოდ აღინიშნა. ბაღის აღმზრდელებმა, მუსიკის მასწავლებელმა ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი გეგმის მიხედვით გააკეთეს... დეკემბრის ბოლო დღეებში ზეიმი გამართეს ორ და სამწლიანმა ბავშვებმა, ჰქონდათ მრავალფეროვანი, სახალისო, კოსტუმირებული და სანახაობრივი წარმოდგენები, მიუზიკლით დაწყებული, საახალწლო ცეკვა-თამაშით დამთავრებული. ლამაზი, სანახაობრივი შოუ დადგეს ოთხწლიანი ჯგუფის აღსაზრდელებმა. მათმა მასწავლებლებმა შესანიშნავად გამოიყენეს ცნობილი მიუზიკლის "ყინულის დედოფლის" ინსცენირება და ბავშვებმაც საუკეთესოდ შეასრულეს როლები. – ბავშვები რომ უშრეტ ფანტაზიას ფლობენ, ამაში ყველა დარწმუნებული ვართ, – აცხადებს ბაღის ფსიქოლოგი ელენა ხეჩუაშვილი, – მაგრამ ხშირად მათი თვალით დანახული, განცდილი თითქოს უმნიშვნელო დეტალი, შესაძლებელია პატარა სცენარის შესაქმნელად გამოვიყენოთ.

უფროსი ჯგუფის ბავშვების ფანტაზიის გავლენით შეიქმნა მათი საყვარელი ზღაპრების გმირების საახალწლო თავგადასავალი, რომელიც კიდევ უფრო გაამდიდრეს და გაამრავალფეროვნეს ქართულ-ევროპული, აღმოსავლური ცეკვებითა და სიმღერებით. აქტიურობდნენ აღსაზრდელები :ლუკა აბესაძე, ლიზი გიგაური, ქრისტინე ბექაური და სხვები, რომლებსაც ეხმარებოდნენ მუსიკის მასწავლებელი ელენე ხოეგუაშვილი, მეთოდისტი ნანა აბუაშვილი. საახალწლო კონცერტის ბოლოს ბავშვებმა და მასწავლებლებმა თოვლის პაპასთან ერთად გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

კასპი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

“სიწყალოვ, ჩემთან მოფველო...”

“მე ასტრონომისა არა მცხია რა, მაგრამ ვუბედავ ჯორდანო ბრუნოს, რომ დედამიწა ღერძზე კი არა ადამიანის გულმკერდზე ბრუნავს!” გიორგი ხორგუაშვილი.



მწერალი და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ესეების ავტორი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შემკრები და დამფასებელი გიორგი ხორგუაშვილი ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში თავკაცობდა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. სწორედ მისი თაოსნობითა და ორგანიზებით რაიონში არსებული მუზეუმები ფასდაუდებელი და უნიკალური, მეცნიერული ღირებულებების მქონე სამუზეუმო ექსპონატებით გამდიდრდა... მწერლის უშუალო მცდელობითა და ინიციატივით, უდიდესი მონდომებით კასპში ჩატარდა, შემდეგ კი, ტრადიციად დამკვიდრდა საქვეყნოდ გახმაურებული და აღიარებული სახალხო დღესასწაულები: “გურამიშვილობა”, “საკაძეობა”, “ჯავახიშვილობა” და კიდევ სხვა ბევრი ეროვნული ღირებულებების მქონე კულტურული ღონისძიება, რომელთა აღდგენა-აღორძინებას გეგმავს მუნიციპალიტეტის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა.

გაწეული ამაგისა და ღვაწლისათვის, დამსახურებისათვის, მწერლის მშობლიურ კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, გარდაცვალების შემდეგ (გარდაიცვალა 2011 წლის 25 აგვისტოს) ოფიციალურად მიენიჭა მისი სახელი, ხოლო საცხოვრებელი სახლის კედელზე, სადაც ათწლეულების განმავლობაში ცხოვრობდა გიორგი ხორგუაშვილი აღიმართა მემორიალური დაფა... მწერალს 2016 წლის 10 იანვარს დაბადებიდან 87 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღთან დაკავშირებით გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა მწერლისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ განათლებისა და კულტურის მუშაკები, მწერლის ნიჭის დამფასებლები, მოსწავლეები და ახალგაზრდები... ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი,მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლასთან არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი “ახალი განთიადი”.

დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი, რომელმაც თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა მწერლის შემოქმედებაზე, მის ღვაწლსა და დამსახურებაზე.. დამსწრე საზოგადოება ემოციებსა და ინტერესს გამოხატავდა დარბაზში საგანგებოდ მოწყობილ მონიტორზე ნაჩვენები გიორგი ხორგუაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ვიდეო- მასალის ჩვენებისას.

— მქონდა ბედნიერება, რომ მწერალ გიორგი ხორგუაშვილთან ახლო ურთიერთობა მქონოდა, — განაცხადა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას, — მართლაც, დიდი ბედნიერებაა, რომ ჩვენ, მისი თანამედროვენი ჩვენსავე თანარაიონელს, ჩვენიანს, უკვე აღიარებულ მწერალსა და შესანიშნავ მექართულეს, ჩვენი ისტორიის შემკრებსა და დამფასებელს, კულტურის დიდ ქომაგს სიცოცხლეშივე ვერთგულებდით. მინდა ჩვენს მოსწავლე- ახალგაზრდობას მოვუწოდო, თუნდაც მეგობრულად ვურჩიო, რომ გულდასმით გაეცნონ მის შემოქმედებას.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის / დირექტორი ლელა პეტრიაშვილი / ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის / ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი / მოსწავლეები: ქეთევან ბეჟანიშვილი, ნინო ხაჩირაშვილი, მარიამ კაციაშვილი, ქეთევან ჭალისური, მარიამ მერებაშვილი, სალომე სამხარაძე, მიხეილ სამხარაძე, ანზორ დალაქიშვილი, ნიკა კობაიძე, ლუკა მერებაშვილი, ლაშა თინიკაშვილი. ბავშვებმა მხატვრულად წაიკითხეს გიორგი ხორგუაშვილის ლექსები, ამონარიდები მწერლის მოთხრობებიდან... ღონისძიებას ესწრებოდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, მოგონებებით გამოვიდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე, ქალაქის პირველი საჯარო სკოლის მასწავლებელი მანანა ყაბანაშვილი. ღონისძიების ბოლოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბავშვებს მუნიციპალიტეტის გამგებელმა საპატიო სიგელები გადასცა.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

რომ შეიყვარო მუსიკა...

გამოჩენილი მუსიკოსი, პიანისტი, სახალხო არტისტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი და კიდევ ბევრი სხვა ლეგალიების მფლობელი ალექსანდრე გოლდენვეიზერი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პედაგოგის როლსა და დამსახურებას დამწყები მუსიკოსის აღზრდასა და ჩამოყალიბების საქმეში... “ მე მოგიწოდებთ გიყვარდეთ თქვენი მოსწავლეები, — მიმართავს იგი პედაგოგებს, — ისინი აპატიებენ მასწავლებელს სიფიცხეს, უკმეხობას, ზოგჯერ უხეშობასაც კი, თუ ეს გამოწვეულია იმის სურვილით, რომ მოსწავლე კარგად უკრავდეს, მაგრამ მოსწავლეებს არ უყვართ გულგრილი მასწავლებელი. თუ ბავშვები არ გიყვართ, უარი თქვით პედაგოგის პროფესიაზე”. აი, სწორედ ეს გახლავთ უმთავრესი დევიზი, მეტიც, სამოქმედო პროგრამა, რომლითაც ხელმძღვანელობს კასპის სამუსიკო სკოლა. ალბათ, ამანაც განსაზღვრა ის ფაქტი, რომ ბოლო წლების მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა ბავშვთა კონტინგენტი, მათ შორის, ბიჭუნების რაოდენობა.

— კონტინგენტის გაზრდა და საერთოდ ბავშვთა აქტიურობა უდავოდ განაპირობა ჩვენთან შექმნილმა სასიამოვნო სამუშაო გარემომ, — აცხადებს მუსიკალური სკოლის დირექტორი ხათუნა შეშაბერიძე, — თავისთავად, რა თქმა უნდა, ხელი შეგვიწყო თანამედროვე ტექნოლოგიებმაც, ეს ეხება, სოციალურ ქსელსა თუ კომპიუტერულ ფენომენს.

ახალი წლის დადგომამდე მუსიკალურ სკოლაში გაიმართა საშობაო კონცერტი, რომლითაც პატარა შემსრულებლებმა, სკოლაში არსებული გუნდის /ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი / წევრებმა თავი მოიწონეს მოწვეული სტუმრებისა და მშობლების წინაშე... აღსანიშნავია აგრეთვე, ხატვის წრის ბავშვების წარმატებები. გასული წლის 8, 9, 10 ოქტომბერს ბათუმში ჩატარდა ანიმაციის საერთაშორისო ფესტივალი “თოფუზი”, სადაც წარმოდგენილი იყო

კასპის მუსიკალური სკოლის მოსწავლეების მიერ შექმნილი ანიმაციური ფილმი “ცირკი”, რომელმაც სიგელი დაიმსახურა. აღნიშნულ ანიმაციაზე მუშაობდნენ გიგი ახლოური, თათია მანგოშვილი, ლაშა კენჭუაშვილი, დავით მაზმიშვილი, ცოტნე წიკლაური, საბა ჯაბაური, გიორგი მიგრიაული, ლაზარე შალუტაშვილი, გვანცა ხიზაძე, ანა ბერიანიძე, ანი კენჭუაშვილი.

მუსიკალური სკოლის მოსწავლეებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს გასული წლის ზაფხულში ბორჯომში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე, რომელმაც ძალიან დადებითი გავლენა იქონია სკოლის ცხოვრებაზე, ბავშვებს მიეცათ მოტივაცია, თავის გამოჩენისა და აქტიურობის სურვილი. სკოლა ამაყობს აქტიური მოსწავლეებით, რომელთა შორის არიან მარიამ ბერიაშვილი /პედაგოგი მანანა სოზიაშვილი,/ ანა ჯავახიშვილი /პედაგოგი ნინო ყოჩიშვილი/, გურამ ქამხაძე /პედაგოგი ანა ნონიაშვილი/, შალვა ნასყიდაშვილი /პედაგოგი შორენა შეშაბერიძე /, ნაია სისაური / პედაგოგი ლეილა თათრიშვილი /, გვანცა დუშაშვილი /პედაგოგი თეა კორინთელი /, მარიამ ტყემალაძე /პედაგოგი სვეტა ლომსაძე /, ხატია მამულაშვილი / პედაგოგი ლაურა ნონიაშვილი /, ნიკა ბეგლარაშვილი /პედაგოგი ლალი ღვინიაშვილი /, ელენე პაპუაშვილი /პედაგოგი ხათუნა ბათილაშვილი/. ორგანიზებულად ტარდება სოლფეჯიოს გაკვეთილები, რომელსაც მოსწავლეები ადრე რატომღაც თავს არიდებდნენ, ბოლო წლების მანძილზე შეიმჩნევა ინტერესი თეორიული საგნების მიმართაც, ამას რა თქმა უნდა, განსაკუთრებულად შეუწყო ხელი პედაგოგ რუსუდან გელაშვილის თავდაუზოგავმა მუშაობამ. ცალკე აღნიშვნის ღირსია საესტრადო სიმღერების განყოფილების აქტიურობა, რომელსაც ხელმძღვანელობენ პედაგოგი ნინო ხუციშვილი და კონცერტმეისტერი ნინო მერებაშვილი.

— ყველაფერი ერთად აღებული, ჰარმონიულობა, ორგანიზებული გაძღოლა საბოლოოდ მოსწავლეებზე დადებითად აისახება, — საუბრობს სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი, — ამიტომ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემოქმედებით პროცესში დადებითი მუხტის არსებობას, სწორედ ეს გახლავთ ოპტიმიზმის საფუძველი.

მართლაც, სასიამოვნო განწყობილებითა და იმედით დაიწყო ახალი, 2016 სასწავლო წელი...

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

ვინ ვინ არის ქართულ სპორტში?

მამულაშვილი იოსები

მამულაშვილი იოსები

(ქართული ჭიდაობა: მწვრთნელი)

დაიბადა 1981 წლის 12 ივნისს. დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემია (2002 წ.).

საქართველოს ჩემპიონი სამბოში (1999 წ.), ევროპის სტუდენტთა უნივერსიადის ჩემპიონი (1999 წ.).

2015 წლის განმავლობაში მისი შეგირდების მიერ მოპოვებული გამარჯვებებისა და წარმატებების ნუსხა:

1. საქართველოს ზონალური პირველობა 2000-01 წლებში დაბადებულთა შორის, მცხეთა, აპრილი: I ადგილი – სოსო იორდანაშვილი, დიმიტრი იგრიაშვილი, შოთა ფავლენიშვილი;

2. საქართველოს პირველობა (ფინალი), ჩხოროწყუ, მაისი: I – სოსო იორდანაშვილი;

3. არჩილ ჩოხელის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, მცხეთა, მაისი: I – ზვიად ოდოშაშვილი, გიგა ბერიაშვილი, II – ტრისტან ფეიქრიშვილი;

4. კოლია ქვარიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, ქუთაისი, მაისი: II – დავით გეჯაძე, გიორგი კაციაშვილი, III – ვეფხვია ყურაშვილი;

5. ჯემალ მჭედლიშვილის სახელობის ტურნირი, ქარელი, ივნისი: I – გიორგი გუგულაშვილი, II – ალეკო ქვრივიშვილი;

6. საქართველოს პირადი პირველობა, შინდისი (გორი), ივნისი: I – გიორგი კაციაშვილი, რამაზ გუგულაშვილი, III – ზვიად ოდოშაშვილი, ბექა ბერძენიშვილი;

7. რესპუბლიკური ტურნირი, ხაშური, ივნისი: I – დავით გეჯაძე, II – გიორგი კაციაშვილი, დიმიტრი გუგულაშვილი, III – გიორგი მირუაშვილი;

8. ვანო გამხიტაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, სამთავისი, ივლისი: I – რამაზ გუგულაშვილი, ზვიად ოდოშაშვილი, ბექა ბერძენიშვილი, II – დავით გეჯაძე, III – ბექა მიქუტიშვილი, ლევან გელხაური.



მამულაშვილი ნუგზარი

მამულაშვილი ნუგზარი

(ჭიდაობა: მწვრთნელი)

დაიბადა 1956 წლის 22 ივნისს. დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემია (1995 წ.).

კასპის რაიონის ნაკრები გუნდების უცვლელი წევრი მრავალი წლის განმავლობაში, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობასა და სამბოში.

ჭიდაობა სამბოში ყოფილი სსრკ-ის ახალგაზრდული ჩემპიონატების II და III პრიზიორი (1976-77 წ.), შეიარაღებული ძალების სამგზის ჩემპიონი.

ვეტერან სამბისტთა შორის 1995 და 1996 წლების პარიზისა (საფრანგეთი) და მადრიდის (ესპანეთი) მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების კავალერი.

1985 წლიდან სოფელ მეტეხის (კასპის რაიონი) ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლის დირექტორია.

2015 წლის განმავლობაში მისმა ხელდასხმულმა მოჭიდავეებმა არაერთი სპორტული მიღწევა მოიპოვეს როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე:

1. საერთაშორისო ტურნირი სამბოში (ყაზახეთი): I – ბექა ბერძენიშვილი, II – კახა მამულაშვილი, ზვიად ოდოშაშვილი;

2. საერთაშორისო ტურნირი სამბოში (ბელარუსი): II – ბექა ბერძენიშვილი;

3. მსოფლიო თასის გათამაშება სამბოში (რუსეთი): II – ბექა ბერძენიშვილი;

4. ევროპის ჩემპიონატი სამბოში (ხორვატია): III – კახა მამულაშვილი;

5. ევროპის პირველი ოლიმპიური თამაშები (აზერბაიჯანი): III –კახა მამულაშვილი;

6. ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში ახალგაზრდებს შორის (ავსტრია): III – გიორგი კაციაშვილი;

7. საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში (თბილისი): II – გიორგი კაციაშვილი;

8. მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში (მაროკო): III – ბექა ბერძენიშვილი;

9. საქართველოს ღია პირველობა ფალავნობაზე (თბილისი): I – გიორგი კაციაშვილი, III – კახა მამულაშვილი (ორივე – 80 კილოგრამი);

10. საქართველოს პირველობა სამბოში (თბილისი): I – დავით გეჯაძე, ზვიად ოდოშაშვილი, ბექა ბერძენიშვილი, III – კახა მამულაშვილი.



პაპინაშვილი ჯამბული

პაპინაშვილი ჯამბული

(ჭიდაობა: მწვრთნელი)

დაიბადა 1963 წლის 31 იანვარს.

საქართველოს სამბისტთა ახალგაზრდული ნაკრების წევრი (1981-83 წლებში). 1982 წელს გახდა ქ. სოხუმის საერთაშორისო ტურნირის III პრიზიორი და შეასრულა სსრკ სპორტის ოსტატის ნორმატივი (სამბოში). 1983 წელს მოიპოვა საქართველოს VIII სპორტული სპარტაკიადის ჩემპიონობა ქართულ ჭიდაობაში (მიეკუთვნა სპორტის ოსტატის წოდება) და ამავე სპარტაკიადის II პრიზიორობა სამბოში.

არის ვაჟიშვილების – ამირან და ჯაბა პაპინაშვილების – ძიუდოში საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ჭაბუკთა ნაკრების წევრების – პირველი მწვრთნელი (და უპირველესი გულშემატკივარი).

2015 წელს უმცროსმა პაპინაშვილმა (18 წელი 2016 წლის აპრილში შეუსრულდება) მოიგო საქართველოს პირველობა (თბილისი, მარტი) ჭაბუკთა შორის. ევროპის ჩემპიონატზე (გაიმართა სერბეთის ქ. ნოვი-სადში, აპრილში) II ადგილი დაიკავა, ხოლო მსოფლიო პირველობაზე (ლატვია, ქ. რიგა, ოქტომბერი) – III ადგილი.

ხორბალაძე ჯემალი

ხორბალაძე ჯემალი

(ჭიდაობა: მწვრთნელი)

დაიბადა 1948 წლის 15 თებერვალს.

დაამთავრა ქ. გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (1971 წ. – ბიოლოგიაგეოგრაფიის ფაკულტეტი, 1974 წ. – ფიზიკური კულტურის ფაკულტეტი).

სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობასა (1966 წ.) და სამბოში (1967 წ.), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ძიუდოში (№2984, 1973 წ.).

1964 წელს მეცხრეკლასელი პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში (უფროსთა შორის) და ტიტული შეინარჩუნა 1974 წლამდე, როცა პირველი იყო ქართულ ჭიდაობასა და სამბოშიც.

1968-72 წლებში შედიოდა ყოფილი სსრკ-ის ძიუდოს მთავარი ნაკრების შემადგენლობაში (63 კილოგრამამდე წონითი კატეგორია).

მოგებული აქვს გერმანიის, პოლონეთის, მონღოლეთის, იაპონიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ტურნირები.

დააკვალიანა და აღზარდა საქართველოს ჩემპიონები: მორის თათანაშვილი, შალვა პაპინაშვილი, ამირან პაპინაშვილი, გიგა ხორბალაძე...

არის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ფესტივალის "თბილისი – 2015"-ის ჩემპიონი ძიუდოისტის, რობინზონ ბეგლარაშვილის, პირველი მწვრთნელი.

ჯალალი ავთანდილი

ჯალალი ავთანდილი

(ფეხბურთი, მწვრთნელი)

დაიბადა 1946 წლის 29 მაისს.

დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტი (1968 წ.).

ნახევარმცველის ამპლუით თამაშობდა კასპის "განთიადის", ფიზკულტურის ინსტიტუტის, თბილისის "სინათლის", რუსთავის "მეტალურგისა" და ყვარლის "დურუჯის" გუნდებში. არის სპორტსაზოგადოება "შრომითი რეზერვების" საკავშირო პირველობის ჩემპიონი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში (1964 წ.). ირიცხებოდა თბილისის "დინამოს" დუბლშემადგენლობაში. იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი.

1973 წელს დაინიშნა კასპის რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ. მის სახელთან არის დაკავშირებული რაიონში ახალი სასპორტო ობიექტების (კასპის და მეტეხის ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლების და ა.შ.) გახსნა; მაღალი დონის სპორტული ღონისძიებების მოწყობა და სხვა.

1987 წლიდან არის კასპის რაიონის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დირექტორი.

სადღეისოდ არის შიდა ქართლის სამხარეო ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი. არჩეულია საქართველოს სასკოლო სპორტის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად, ასევე, საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა გამგეობის წევრად.

2015 წელს დასახელებულია საუკეთესო საფეხბურთო მწვრთნელად კასპის რაიონის სპორტის ისტორიაში.

2015 წელს აირჩიეს შიდა ქართლის ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტად.

შარშანდელი წლის განმავლობაში კასპის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის მოსწავლეებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრება მოიგეს:

იანვარში – კახი კალაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი,

ორმა გუნდმა: "განთიადი – 2000"-მა და "განთიადი –2003"-მა ჩემპიონობა მოიპოვეს, შესაბამისად, თბილისის ლიგისა და სამხრეთ ოსეთის სამხარეო გათამაშებებში, ხოლო "განთიადი – 2001"-მა ვერცხლის მედლები მოიპოვა.

წლის მიწურულს, დეკემბერში, სკოლის 10-11-წლიანთა გუნდი მონაწილეობდა რესპუბლიკურ ტურნირზე "ბენდელას თასი – 2015".

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

„ახალი განთიადი" იძიებს ყველა ადგილობრივი ყოფილ-მეცნიერის შეხვედრას. თხოვნით მივმართავთ თანხრისიონელებს - ოსტოვეთ თჯეული ყველი ჩვენს მეცნიერში! გამოგვიგზავნეთ ყველაფერი ოსტოეში!

გილოცავთ!

ჩვენს ძვირფას ლიანა ნოზაძეს დიდი სიყვარულით ვულოცავთ 70 წლის იუბილეს!

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და ჩვენს გვერდით დიდხანს ყოფნას.

ქვემო ხანდაკის საჯარო სკოლა.

გვხლით ჩემი მკითხველი!

სპორტული 2015

***დასასრული.**

დასაწყისი გვ7.

ეჯო: I – ტარიელ მიდელაშვილი, დანიელ მარქარაშვილი, ედი ბუღულაშვილი, III – მიხეილ ხუციშვილი, დავით მარქარაშვილი;

11. ნოემბერი – ზაურ შეყრილაძისა და მურად დოხტურიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, ქუთაისი: III – გიორგი სუხაშვილი;

12. ნოემბერი – ლერი ხაბელოვის სახელობის პირველი საერთაშორისო ტურნირი, თბილისი: I – დანიელ მარქარაშვილი, II – ედი ბუღულაშვილი;

13. დეკემბერი – საქართველოს ოლიმპიური რეზერვების ეროვნული ცენტრის ღია პირველობა, თბილისი: III – სანდრო გაბოძე.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

შევსებული კითხვარი ამოჭეჩით და გამოგვიგზავნეთ ჩედაქციაში.

ჩემი აზრით . . .

"ახალი განთიადი" გთავაზობთ კითხვარს. გაგვიზიარეთ თქვენი აზრი, გამოვავლინოთ გამორჩეული პროფესიონალები, შევქმნათ ჩვენი ლეგენდის რეალური სურათი.

გამარჯვებული ნომინანტები დაჯილდოვდებიან.

ჩემი აზრით 2015 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს ცხოვრებაში იყო ----------

ჩემი აზრით 2015 წლის ყველაზე ღირსახსოვარი მოვლენა ჯასპის ცხოვრებაში იყო ----------

ჩემი აზრით რაიონის ხელმძღვანელი, რომელმაც ყველაზე მნიშვნელოვანი ჯვალი დატოვა, იყო ----------

ჩემი აზრით ჯასპში ყველაზე ჯარგი ექიმია ----------

ჩემი საყვარელი მასწავლებელია ----------

საბავშვო ბაღში ჩემი საყვარელი აღმზრდელი იყო ----------

2015 წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენია ----------

ჩვენი ქალაქის ყველაზე მომხიბვლელი ქალბატონია ----------

ჩვენი ქალაქის ჯოლორიტია ----------

2015 წელს ჩემს ოჯახში ყველაზე პოპულარული სადილი იყო ----------

2016 წელს მინდა ჩემს ქალაქში (სოფელში) გაჯეთდეს ----------

2016 წელს ყველაზე მეტად გამახარებდა ----------

ჩემი ნება რომ იყოს ----------

მე რომ გამგებელი ვიყო ----------

მე რომ საკრებულოს წევრი ვიყო----------

გვარი, სახელი (სურვილის შემთხვევაში მეცხახელი, ფსევდონიმი)----------

შევსებული კითხვარი 2016 წლის 14 თებერვლის ჩათვლით მიგვწოდეთ რედაქციაში მისამართზე: ყანჩა, სააკაძის ქ. 68. გამოკითხვა ,,ჩემი აზრით,,

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ავტოავარიაში დაიღუპა შპს ,,კასპის კეთილმოწყობის,, მთავარი სპეციალისტი, მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოში მეტეხიდან ელგუჯა (გუჯა) გეჯაძე და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო უღიდეს სამძიმარს გამოთქვამს საკრებულოს დეპუტატის ელგუჯა (გუჯა) გეჯაძის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კასპის მუნიციპალიტეტის მეტეხის ადმინისტრაციული ერთეულის სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სოფლის დეპუტატი ელგუჯა (გუჯა) გეჯაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შპს ,,კასპის კეთილმოწყობის,, სამსახურის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ავტოავარიაში დაიღუპა სამსახურის მთავარი სპეციალისტი ელგუჯა (გუჯა) გეჯაძე და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

გამოსათხოვარი

ელგუჯა (გუჯა) გეჯაძე

რა ულმობელი ყოფილა სიკვდილი, დადის, დათარეშობს საწუთროს შარაზე, არავინ იცის, თუ ვის, სად ჩაუსაფრდება... ჩვენო გუჯა, ჩვენო ერთგულო ადამიანო, ასე უეცრად, თითქოს თვალის დახამხამებაში წახვედი, გაქრი. უფალმა საუფლოში გიხმო, ბედისწერამ მარადისობაში წაგიყვანა... ძნელი იქნება უშენოდ შეეგუოთ ახალ რეალობას, ახლა მხოლოდ წარსულში უნდა გავიხსენოთ ერთად გატარებული დღეები, 2013 წლის თებერვლიდან მოყოლებული შენ ხომ ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყავი, ყველას ეიმედებოდი. ჩვენთვის მარტო ხელმძღვანელი კი არა, ახლობელი და მზრუნველი, მოსიყვარულე ადამიანი იყავი. ბევრმა შენგან ისწავლა, თუ როგორი პასუხისმგებლობითა და ოპტიმიზმით, უშურველად უნდა შეასრულოს საერთო საქმე, ჯერ არ გქონდა მიღებული დავალება, უკვე მოფიქრებული გქონდა, როგორ, რა თანმიმდევრობით უნდა შეგესრულებინა იგი. დიდმაც და პატარამაც ნათლად დაინახა, თუ როგორი უნდა იყოს საჯარო სამსახურის ხელმძღვანელი. ძალიან დიდი დანაკლისია შენი უდროოდ წასვლა ამ ქვეყნიდან. წახვედი და დაგვიტოვე კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს შენი თანამებრძოლი.

ჩვენო გუჯა, ჩვენო დაუვიწყარო ადამიანო, ალბათ, არასოდეს გაგვინელდება შენდამი პატივისცემა, საოცრად ახლობლური დამოკიდებულება, გულისტკივილით გემშვიდობებით, უფალს ებარებოდე.

შპს "კასპის კეთილმოწყობის" სამსახურის თანამშრომლები.

ხსოვნა

ნუგზარ ტყემალაძე

ძვირფასო პაპა, ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი... წელს იუბილარი იქნებოდი, 60 წელი შეგისრულდებოდა და ჩვეული ხალისით ერთად აღვნიშნავდით იუბილეს ...

ნათლად მახსოვს შენთან გატარებული ყოველი წამი, წუთი, საათი, ძალიან ძნელი ყოფილა უახლოესი, უსაყვარლესი, უთბილესი ადამიანის დაკარგვა, ადამიანის, რომელიც მამასავით ზრუნავს და თავს გევლება... სწორედ ასეთი იყავი შენ ჩემთვის, მეორე მშობელი, ბედნიერების მომტანი, მთელი ოჯახის ფესვი და საყრდენი...

რა დამავიწყებს ყველა იმ ადგილს, სადაც შენ დაგყავდი, რა დამავიწყებს შენს სიხარულს, როცა იგებდი ჩვენს წარმატებებს. როგორ გიხაროდა ჩვენი სიხარული, ბედნიერება... პაპა, მენატრები!!! მენატრები უსასრულოდ... შეიძლება ვერ გამოვხატავ ამ მონატრებას, მაგრამ გულის სიღრმეში საშინელ გრძნობას მიტოვებს უშენობა... ეს არის 13 წლის გოგოს სიტყვები... ეს ის სიტყვებია, რომლებიც გულში სახლობენ...

მიყვარხარ!!! და მეყვარები ყოველთვის, მემახსოვრები და არასდროს დაგივიწყებ, რაც არ უნდა დიდი დრო გავიდეს...

მარიამ ტყემალაძე.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი სააკაძის ქ. № 68

ტელეფონი 22-25-76